

ქ.თბილისი

2018 წლის 5 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 5 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია,.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს სამეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის დ. ფულარიას ოქმი, მოხსენებითი ბარათი და მთავარი მსაჯის ლ. ბიბიჩაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 1 მარტს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, ქუთაისის „აია იმერეთი“-სა და ქუთაისის „აია აიეტი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „აია აიეტი“-ს მორაგბე გიორგი ბარათელი - მთავარი მსაჯის მიმართ არაეთიკური და არასპორტული საქციელი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 2.1. პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „აია აიეტი“-ს მორაგბე გ. ბარათელი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.1 პუნქტი და კლუბ ქუთაისის „აია აიეტს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/